Room care R 6

ძლიერი მოქმედების ტუალეტის საწმენდი საშუალება

აღწერა:

Room care R 6 მზადაა გამოსაყენებლად. ძლიერი მოქმედების უნიტაზისა და პისუარის საწმენდი საშუალება, რომელიც განკუთვნილია კირქვის ნადების, ლაქებისა და სხვა ნარჩენების მოსაცილებლად.

ძირითადი მახასიათებლები:

- შესქელებული მარილმჟავას ბაზაზე დამზადებული ფორმულა.
- მაღალეფექტური, სწრაფი მოქმედების.
- იდეალური სიბლანტე ზედაპირზე შესანიშნავი ადჰეზიის უზრუნველსაყოფად.
- მსუბუქი, ნაზი არომატით.
- უნიკალური, დაპატენტებული სუნის ნეიტრალიზაციის ტექნოლოგია (O.N.T.)

უპირატესობები:

- ნადების, ლაქების და სხვა ნარჩენების სწრაფი და საფუძვლიანი მოცილება
- ვერტიკალურ/დახრილ ზედაპირებზე გახანგრძლივებული კონტაქტის დრო ოპტიმალური წმენდის ეფექტურობისთვის
- ვარგისია ფაიფურისა და მოჭიქული სანიტარული მოწყობილობების ზედაპირებზე გამოყენებისთვის.
- დახრილ ყელიანი მოსაჭიდი ბოთლი სწრაფი და მარტივი გამოყენებისათვის.
- ანეიტრალებს უსიამოვნო სუნის მოლეკულებს და შესაბამისად, აძლიერებს სუნამოს ეფექტს.

გამოყენების წესები:

1. ჩარეცხეთ უნიტაზი/პისუარი და დაიტანეთ პროდუქტი რგოლის ქვეშ, წრიულად, წყლის/ჩასარეცხი ბილიკებზე და წყლის გამოსასვლელებზე.

2. გააჩერეთ პროდუქტი 5 წუთის განმავლობაში

3. გახეხეთ ჯაგრისით და ჩარეცხეთ.

დამატებითი მითითებებისთვის იხილეთ ინდივიდუალური სამუშაო მეთოდების ბარათები.

ტექნიკური მონაცემები

გარეგნული ფორმა: გამჭირვალე, ლურჯი სითხე

შედარებითი სიმკვრივე [20 ºC] - 1.04

Ph (1% ხსნარი 20 ºC–ზე) - 2

ზემოთნახსენები მონაცემები წარმოადგენენ ტიპიურ სიდიდეებს და სპეციფიკაციებად არ უნდა განიხილებოდნენ.

ინფორმაცია უსაფრთხო დამუშავებასა და შენახვაზე

შეინახეთ თავისივე კონტეინერში დახურულ მდგომარეობაში ან (სადაც შესაძლებელია) სპეც. განკუთვნილ ცისტერნაში, მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას. პროდუქტის გამოყენებისა და განთავსების შესახებ სრული ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია არსებითი უსაფრთხოების მონაცემების ფურცელზე.

პროდუქტის თავსებადობა

არ გამოიყენოთ მჟავამგრძნობიარე ზედაპირებზე, მაგალითად, მინანქარზე, მარმარილოზე და სხვა. დაუყოვნებლივ მოაშორეთ ნებისმიერი წვეთი ან შხეფი მჟავამგრძნობიარე ზედაპირებიდან და ჩამორეცხეთ წყლით. არ შეურიოთ მათეთრებელს ან სხვა საწმენდ საშუალებებს. გამოყენებამდე შეამოწმეთ მასალის თავსებადობა პატარა, შეუმჩნეველ ადგილას.

Cleantech